გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდეკელის საგაზეთოს. გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



გაზეთი „ივერია“ პირველ აპრილიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მანათი.


დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ერისთავი სთხოვს თავად-აზნაურობას დუშეთის მაზრისას, მობრძანდნენ ოროს მაისს ამა წლისა, დილის ათს საათზე, ჩვეულებრივს თავად-აზნაურთა კრებაზედ ქალაქ დუშეთს და ამასთანავე სთხოვს წარმოადგინონ საბუთები ქონებრივის ცენზისა, ვისაც ხუთასის დღიურის მამული აქვს და ოცი კომლი გლეხი ჰყავს დასახლებული თავის მამულზედ. (2—2)


## ქ. ქუთაისში

მიხაილოვის და აფთიაქის ქუჩების შესართავში, ოლქის სასამართლოს მახლობლად, ა. გურგენოვის შენობაში, გაიხსნა ამა 1888 წ. მარტის 20 რიცხვიდგან მშვენიერის მებელით მორთული

სასტუმრო ოთახები,

სახელდობრ „Центральная“. ნომრების ფასი ზომიერია. რაც შეეხება ნომრების სისუფთავეს და სხვა იმის მორთულობას, ამაზედ თვით პატივცემულს საზოგადოებას შეუძლიან დარწმუნდეს. იქვე არის გამართული ბილიარდი.

(2—2) მაწარმოებელი პ. ბეთანოვი


ტფილისი, 12 აპრილი

ჩვენში მუდმივ იმაზე გაისმის ჩივილი, რომ განათლებას ნაკლებად მივდევთ და განათლებული ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა არა სდგას იმ წერტილზე, რა წერტილზედაც უნდა იდგესო. ამ გვარი საჩივარი თითქმის ყოველის მხრით ისმის და, ვგონებთ, ეჭვსაც არავინ აიღებს იმის სიმართლეზე. რაც უნდა იყოს, ჩვენა ვზრდით ახალს თაობას დაბალ და მაღალ სასწავლებლებში და ასე თუ ისე ვსცდილობთ მივცეთ სწავლა-ცოდნა. ეს, რასაკვირველია, იმის ნიშანია, რომ საზოგადოებამ თან-და-თან შეიგნო, — გვარიშვილობას და მამულ-დედულსაც «მახე უგია» და მხოლოდ „ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების“. ეს შეგნება ხომ მართლა რომ დიდი საქმეა, რომელსაც როგორც იყო მივუხდით, თუმცა ეხლაც მოიძებნებიან იმისთანა მამები, რომლებიც მწევარმეძებრისათვის უფრო ჰზრუნავენ, ვიდრე შვილებისათვის, მაგრამ იმედია, ესენიც ჭკუაზე მოვლენ, როცა დარწმუნდებიან, რომ „მშობელთა შვილი უწვრთვნელი აროდეს მისცემს ლხენასა“. მართალია, როგორც არის ვეჩვევით იმ აზრს, რომ უსწავლა-ცოდნოდ შეუძლებელია რაიმე ბედნიერება დავიმკვიდროთ, მაგრამ ეს აზრიც მხოლოდ ნახევრადა გვაქვს შეთვისებული; დღემდის ვერ მიმხვდარვართ‘ რა უფრო საჭიროა მოზარდის თაობის რიგიანად აღსაზრდელად, რა უფრო საჭიროა ოჯახის წარსამატებლად და გასაპატიოსნებლად. მაშინ-როდესაც ცოტად თუ ბევრად ვცდილობთ ვაჟთათვის, ვაარსებთ ამათთვის სასწავლებლებს, ჩვენ თითქო დაგვიწყებოდეს ქალების მნიშვნელობა და დანიშნულება და ამიტომ სრულიად არა ვზრუნავთ იმათ აღზრდისათვის. ეს ისეთი თვალსაჩინო გარემოებაა, რომ არავის არ შეუძლიან უარ-ჰყოს; ეს სამწუხარო გარემოება-კი ღრმა კვალსა სტოვებს ჩვენს ცხოვრებაში და ხელს უშლის ჩვენს წარმატებას.

ეს კვალი შესაძლოა შენიშნოთ ოჯახში, სადაც არ იპოვება კარგად აღზრდილი, გონება და ხასიათ გაბრწყინვალებული დედა, რომელსაც შეეძლოს რიგიანად გაუძღვეს შვილებს და მოამზადოს სწავლა-განათლების შესათვისებლად. ეხლა წარმოიდგინეთ ამ გვარის ოჯახის შვილი სოფლიდგან სკოლაში მიცემული. ჰკითხეთ გამოცდილ მასწავლებლებს და ისინი დაგარწმუნებენ, რომ ამ გვარს ყმაწვილს, ბუნებისაგანაც რომ დიდის ნიჭით მიმადლებული იყოს, პირველ ხნობით ძალიან ეძნელება სწავლას მოეკიდოს და გული დაუდვას; რომ ნახევარი ან ერთი წელიწადია საჭირო, სანამ ყმაწვილი სკოლას და იმის ვითარებას შეეჩვიოს. უმეტეს ნაწილს ამ ჯურის ყმაწვილებისას სამუდამოდ დაემჩნევა ხოლმე ის გარემოება, რომ ოჯახს არ გაუწვრთვნია იმათი ზნე და ხასიათი და არ დაუდვია საძირკველი იმათ გონების წარსამატებლად. ამით, სხვათა შორის, ისიც აიხსნება, რომ დიდ-ძალი ჩვენის ახალგაზდობისა რიგიანად არა სწავლობს და უდროვოდ სტოვებს სწავლასა; რომ ჩვენი ახალი თაობა მოკლებულია მოქალაქობრივ მიზიდულობას, საზოგადობრივს გრძნობას და ეს ხომ იმის მიზეზია, რომ საზოგადოებისა და ქვეყნის ცხოვრების წარმატებას დაბრკოლება ეძლევა. აბა მითხარით, ვისა ჰყავს იმდენი უწვრთვნელი ახალგაზდობა, როგორც ჩვენ ქართველობას, რომლის თვით ცნობიერის საზოგადოების შვილები დაფართფაშებენ ისე უგზოუკვლოდ და უზრუნველ-უდარდელად, როგორადაც ჩვენი ყმაწვილები?

ეხლა დააკვირდით მთელს ვითარებას ჩვენის ოჯახისას. რასა ჰხედავთ? იმას, რომ უფროს-ერთი ოჯახი დაქსაქსულია, კარგი გამრჯელი, თავოსანი დედები და დები არა გვყავს და რომ ჩვენი ყმაწვილი კაცები მოუმზადებელნი და გაუწვრთვნელნი არიან საკუთარს თავსა და ოჯახს პირ-ნათლად გაუძღვნენ. ვიღაცამა სთქვა: ის ქვეყანა ბედნიერია, რომელსაც კარგი ქალები ჰყავსო, და ფრიად მართალიც უთქვამს. მართალადაც, თუ რომლისამე დაწინაურებულის ერის ყოფა-ცხოვრებას დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ იგი ერი ჰზრუნავს ქალების აღზრდისა და განათლებისათვის, რომ იმის ქალები თვალ-საჩინო მონაწილეობას იღებენ მწერლობასა და მეცნიერებაში და სხვა სფერაშიაც, ესე იგი ქალების მდგომარეობა და ვითარება საწყაოა მთელის ერის ვითარებისა. ჩვენ-კი თითქო დავივიწყეთ, რომ დედაკაცი საძირკველია ოჯახის კეთილდღეობისა და მოზარდის თაობის ბედნიერებისა, თუმცა თავი მოგვაქვს ძველის ქართველ ქალების სახელითა. ყველამ გაგონებით მაინც ვიცით, რომ წინანდელი ქართველი ქალი თავის დროს შესაფერად ოჯახსაც უძღვებოდა, შვილებსაცა ზრდიდა.

ეხლა ვკითხოთ, ნუ თუ შესაწყნარებელია ის გარემოება, რომ ჩვენ არა ვზრუნავთ მოზარდ ქალების აღზრდისა და განათლებისათვის?

მაშინ-როდესაც ჩვენ ცოტად თუ ბევრად ვცდილობთ ვაჟები აღვზარდოთ, ნუ თუ მოუხერხებელია ქალებისათვისაც ვიზრუნოთ? ნუ თუ ძნელად შესათვისებელია ის აზრი, რომ გრძნობა-გონება განსპეტაკებული ქალი და დედა საძირკველია ქვეყნის წარმატებისა? ნუ თუ ძნელად წარმოსადგენია, რომ გაზრდილი და განათლებული ქალი, რაკი ოჯახს მოეკიდება, ოჯახსაც რიგიანად გაუძღვება და შვილებსაცა?

ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ქალების აღზრდა იმდენად ძნელი არ არის, რამდენადაც ვაჟებისა. იმათს აღზრდას წინ იმდენი დაბრკოლება არ გადაეღობება, რამდენიც ვაჟებისას, რადგანაც ცხოვრება ვაჟებს არა მარტო ოჯახისათვის ამზადებს, არამედ სხვა საქმეებისათვისაც; უფროს-ერთი ქალი-კი, ცხოვრების დღევანდელ წეს-წყობილებისა გამო, უსათუოდ ოჯახს უნდა მოეკიდოს; მაშასადამე, ქალების აღზრდას მეტი შეღავათი უნდა ჰქონდეს და ამათ არავინ არ დაავალებს იმას, რასაც დღეს ვაჟებს ავალებენ. რადგანაც მთავრობისა და კერძო კაცთა ეხლანდელი

# ფელეტონი

## ხევსურული სიმღერები

შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ

ხევსურთა საურუმოში [1])
ღლე დაალამეს მზიანი;
ოროლჯა ხახიკაურთა
თავს თაოდ უყვეს ზიანი;
ლოხაურიძე დაბრუნდა,
ბულეჯან გულ-ჯავრიანი:
—«ძმაი მამიკლეს ურუმთა,
დამაგდეს ოხერ-ტიალი!»
—«მაგას ნუ ჯავრობ, ბულეჯან, —
მაგიკვდა სახელიანი,
ხევსურთა სანამეტნაოდ
ხმალ მაიქნია ფხიანი,
წინ-წინ შავიდა ომშია,
გამოვა ნაჭრევიანი!..»
ჯანშათა ივანეური
კოლდის ვეფხვია მწკლიანი;
თათარა ატაბიონი [2])
რკინაა საპირიანი;
ქმოსტელი [3]) ყარდანაული
ბასრი ხმალია ფხიანი,
საჩქაროდ გადაიხურა
ჩაჩქანი ზარადიანი [4]),
ურუმთა ჩამასჭყიოდა —
მაჟარ მაქვს იმედიანი!
ვერ გაქებ წინ-ხადოელსა:
ფრანგულმ გაილა პრიალი,
სანგალზედ გადაგვივიდა,
თოფის ტყვია ჰკრეს ტიალი;
ლომნისა გაგაიშვილსა
სიტყვა არ მასდის გზიანი [5]).
აზნაურები ამბობდა:
«გლეხ ლომნ უნდ იყვეს ყმიანი!»
თავთაოდ ვერავის გაქებთ,
ყველა ხართ ხალათიანი,
წინ-წინ მასულთა ურუმთა
ერთი ვერ დახვდით ჰკვიანი...

სოფ. წინა-ხადო
(გიორგი თათარას ძე არაბული)

[1]) საბერძნეთი; ურუმი—ბერძენი, მაგრამ ყველა უცხოელსაც ურუმს ეძახიან.

[2]) ატაბე სოფელია.

[3]) სოფელია.

[4]) პირზედ ჩამოსაშვები ჩაჩქანი.

[5]) ომით გახელებულიაო.

* * *

ზეზვაის [1]) ცხენო, ამ ჭამთარ
ბაგა გამახარ კბილითა,
ქალაქ დაგიბეს პატრონი,
ღამეთ გითენებს გმინითა;
გომბორ გადააავლიეს
ძუა ნალები ცხენითა,
ბაზარ შამააავლიეს
დაფ-ნაღარაი სტვირითა;
ზედი-ზე შადგა თათრები —
ზეზვა უნდ ვნახათ თვალითა;
ზეზვა რა სანახავია,
მაკლული თქვენი ხელითა;
მაშ რად არ ნახე ზეზვაი,
ბახტრიონ [2]) იდგა ცხენითა,
მაგდევდათ, მაგაწუხებდათ,
მაგხევდათ შუბის წვერითა!..

(მისივე)

[1]) გამოჩენილი თუში.

[2]) სოფ. შიდა-კახეთში; როცა შაჰ-აბაზმა კახეთი ააოხრა და თხუთმეტი ათასი თათარი დაასახლა აქ, მაშინ ბახტრიონის ციხე ეჭირა სელიმ-ხანს. ზეზვა ამ დროის გმირი ყოფილა.

## საგანგებო სადილი

(ამბავი)

ფრანსუა კოპესი

დარბაზის კარებში გამოჩნდა დარბაისელი უხუცესი მსახური; იმისი პატივცემული ლიპი ქიშმერის დოშლუღში იყო გამოკვართული; იმის სასიამოვნო თეთრ-წითურს სახეს ამშვენებდა ჭაღარა-შერთული წვერი, რომელიც ნიკაპთან ჰქონდა გამოპარსული. ინგლისის პერს რომ დაენახა ეს თავ-მომწონე და დარბაისელი კაცი, იმასაც-კი შეჰშურდებოდა ამისი ღირსებითა და მედიდურებით სავსე შეხედულება. უხუცესმა მსახურმა დიდის მოხერხებით შეაღო კარი დარბაზისა და წარმოსთქვა ბოხის ხმით და მორიდებით: «სადილი მზად გახლავთ, თქვენო ბრწყინვალებავ». სტუმრებმა დააბინავეს თავიანთი შლიაპები; ვინც უფრო პატივცემული იყო მათ შორის, იმათ თავაზიანად გაუწოდეს ქალებს ხელი და მთელი საზოგადოება ისეთის მოწიწებით გაემართა სადილად, თითქო ლიტანიაზედ მიდიანო.

სუფრა გაშლილი იყო.- ზედ ბრწყინავდა ვერცხლეულობა და ბროლის ჭურჭელი. ყვავილებით სავსე იყო იქაურობა. თითოეულმა სტუმარმა ადვილად იპოვა თავისი ადგილი სუფრაზედ. საცა წაიკითხავდა სტუმარი პატარა და ბჭყვრიალა სქელს ქაღალდზედ თავის სახელს, იმისი ადგილიც იქ იყო. ვიდრე სტუმარი მიიხედ-მოიხედავდა, მაღალ-მაღალი მსახური იქვე დაიბადებოდა თავის აბრეშუმის პაჭიჭებითა და მიუდგამდა სკამს, რომელზედაც გრაფის გვირგვინი იყო მოქარგული. სადილად სულ თოთხმეტნი იყვნენ მიწვეულნი: ამათ შორის ოთხი ქალი, მდიდრულად მორთულნი გულ-ამოჭრილის კაბებითა და ათი კაცი, ყველანი პარიჟის მაღალის საზოგადოებისანი და გამოჩენილნი ანუ გვარიშვილობითა და ანუ საკუთარის მოღვაწეობითა; ამ დღისათვის ყველას გაეკეთებინა თავისი ორდენები, რათა ამით პატივი ეცა უცხო ქვეყნიდამ მოსულის დიპლო-

სკოლები არა ჰკმარის იმ სიმრავლეს ქალებისას, რომელთაც სწავლა-განათლება, ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ სადაც შესაძლოა საკუთარი სკოლები ვიქონიოთ ვაჟებისათვის, იქ კიდევ უფრო ადვილად შესაძლებელია ქალების სკოლებიც ვიქონიოთ, საკვირველი ის არის, რომ დღემდე ეს აზრი ვერ შეგვიგნია და ქალებისათვის ერთი სკოლაც ვერ დაგვიარსებია.

ჩვენს საზოგადოებას ყოველს წელიწადს სჯა და ბაასი აქვს სწავლა-განათლების საქმის შესახებ, მაგრამ, თუ არა ვსცდებით, არც ერთხელ არა ჰქონია ლაპარაკი საკუთრივ ქალების აღზრდისა და განათლების შესახებ.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ქუთაისის სასულიერო სკოლის მასწავლებელს, ბ-ნს პ. კვიცარიძეს შეუდგენია ქართული გრამატიკა, რომელიც ორს ნაწილს შეიცავს. პირველი ნაწილი — «ეთიმოლოგია» უკვე დაუბეჭდია ზ. ჭიჭინაძეს და ამ დღეებში დაურიგდება წიგნის მაღაზიებს გასასყიდად. წიგნი კარგა მოზრდილია და ღირს 40 კაპ.

*** «წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნთ-საცავს შემოსწირეს წიგნები: ანნა გაბაშვილისამ ხელ-ნაწერები ბესიკისა (ბესარიონ გაბაშვილისა), პ. ლარაძისა და კიდევ სხვებისა; 2) ჟურნალი «სალიტერატურონი ნაწილნი» № 3, რომელიც დამატებად იბეჭდებოდა 1832 წელს ქართულ გაზეთთან «ტფილისის უწყებანი»; და ქ-ნმა ზ. კარგარეთელმა — «დავრიშიანი» (ხელ-ნაწერი).

საზოგადოება მადლობას უცხადებს შემომწირველთა.

*** ბალთა (კავკავის გზა): ამ დღეებში ბალთის საბაჟოსთან კავკავის საექიმო უწყებას დაუყენებია ყარაულად ვიღაც ყაზახი რუსი, რომელმაც რუსეთიდგან ტფილისისკენ მიმავალ ხარის ჯოგებს ყური უნდა უგდოს; თუ ვინიცობაა ჯოგში ჭირიანი პირუტყვი აღმოჩნდება, ჯოგი უნდა გააჩეროს და კავკასიის ბეითალს, ბ-ნ ემილიანოვს, უნდა აცნობოს. ამ ყარაულსაც, აქაო-და ხარის ჯოგებზე თვალის ჭერის ნება მაქვსო, მიუყვია ხელი და ვინც-კი შეხვდება, განურჩევლად ყველას ერთ ნაირად ეპყრობა. საწყალი მთიული (არაგვის-ხეველი) ანუ მოხევე თავის ულელის ხარით და ურმით მიდის კავკავს პურის მოსატანად, პარასკევს დღეს გზას ეშურება, რომ შაბათს ბაზარზე დილით ადრე იქ იყოს, პური იყიდოს და პურის სყიდვასთანვე შაბათ დღესვე უკან მობრუნებაც როგორმე მოახერხოს, მაგრამ, სამწუხაროდ, საბრალო მეურმეს ეს ფიქრი არ უსრულდება. მიუახლოვდება თუ არა ბალთის სადარაჯოს, მოულოდნელად წინ გადაუდგება ვიღაც უცნობი კაცი და ეუბნება: გაჩერდი, შენი ხარები ექიმმა უნდა შეამოწმოს — ჭირიანები არ იყოსო. ამ სიტყვების მპენელი მეურმე სახტად რჩება და ეუბნება: რის ჭირიანია, რას ამბობ?! ჭირიან ხარებს მერე ურემში შევაბამდი?

— ეგ მე არ ვიცი, გადაიყვანე ხარები და ურემი გზას იქით და სანამ კავკავიდამ ექიმი მოვა, მანდ იყავი.

— მერე ექიმი მალე მოვალის?

— თუ მალე არ მოვა, მეათე დღეზე მაინც გაჩნდება და მაშინ გაგიშვებ!..

ზემოდ მოხსენებულის მიზეზის გამო სიონელი ბ. და—შვილი და კიდევ სხვა სამი კაცი ხაადელები, კაიშაურის საზოგადოებაში მცხოვრებნი, თავიანთის ხარებით და ურმებით ამ აპრილის 7 რიცხვიდგან ეს სამი დღეა ბალთის საბაჟოსთან არიან დაჭერილები და ელიან ექიმსა, მაგრამ ექიმი არსადა სჩანს, ალბად მეათე დღეზე «მოვალის».

*** „Прав. Вѣст."-ში სწერია, რომ სომხური გაზეთი «მეღუ ჰაიასტანი», რომელიც ტფილისში იბეჭდებოდა, გაუქმებულ იქმნაო.

*** ტფილისის გაზეთებში სწერია, რომ კვირას, 10 აპრილს, თავი მოიკლა რევოლვერით ქმრიანმა ქალმა ა. კ. ს., რომელიც ცხოვრობდა კუკიაში, ალექსანდრეს ქუჩაზეო. საცოდავი ქალი სულ 24 წლისა იყო, ოთხის წლის წინად გათხოვდა და ერთი შვილი დარჩა.

*** გაზ. «კავკაზსა» სწერენ სურამიდამ, რომ გვირაბის თხრა თანდა-თან წინ მიდისო. მართალია, აქამდე ხან-და-ხან დაბრკოლდებოდა ხოლმე თხრა გვირაბისა, მაგრამ ახლა ამ საქმეს ხელს აღარა უშლისრა და მუშაობა გაჩაღებულიაო.

*** ამ ოთხის წლის წინად ხონის სასამართლოს ცეცხლი წაუკიდეს ვიღაც ბოროტ-გამზრახველთა და სულ ერთიანად გადასწვეს. დაიწვა, რასაკვირველია, ბევრი შავი და ბნელი საქმეც სასამართლოსი, რომლის გამოც ვინ იცის, რამდენი დასჯილიყო. ამ გვარად ბევრი ასცდა სასჯელს, ბევრმა გადაირჩინა თავი. მას შემდეგ რამდენიამე წელიწადმა გაიარა, ხონელები დამშვიდნენ, დადინჯდნენ, გული გულის ალაგას დაიყენეს ცოტად თუ ბევრად. ეხლა გაზ. „ახალ მიმოხილვას" აუწყებენ, რომ 6 აპრილს კვლავ მოინდომეს აქაურის სასამართლოს გადაწვა, მაგრამ ვერ მოუხერხდათო. უკანა კიბეზე აპარულან ცეცხლის წაკიდების მსურველნი, წაუკიდებიათ ნავთ დასხმულ ცოტაოდე ჭილობისათვის ცეცხლი, მაგრამ ამ დროს ერთს მსახურს სასამართლოსას გამოჰკლვიძებია, უნახავს გაჩაღებული ცეცხლი და ფეხზედ დაუყენებია ხალხი. ზარალი მაგდენი არაფერია თურმე, რადგან ცეცხლის ალს მარტო კედელი შეუბოლია და შეუშავარტნია, სხვაფრივ შენობისათვის ვერაფერი დაუკლია. პირველის ცეცხლის გამჩენელნი ავაზაკნი ვერ იპოვეს და ვერ უპოვნიათ ეხლანდელნიც, თუმცა ოქმი-კი შეუდგენიათ.

*** პოლიციის მე-9 ნაწილში რეალურ სასწავლებლის მასწავლებლის ცოლს, ანასტასია სტასენკოს, სევდა შემოსწოლია და დამბაჩით თავი მოუკლავს.

*** 8 აპრილს, პოლიციის მე-8 ნაწილში, ლოთობის გამო გარდაიცვალა ქ. კიშინევის მცხოვრებელი ანისია სტანევიცი. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაიგზავნა.

<>

## ქალაქის საბჭო

11 აპრილი

ორშაბათს საღამოს საბჭომ განიხილა ცხრა საქმე. ამათ შორის ყველაზე პირველ ბაასი ჩამოვარდა შესახებ გამგეობის მოხსენებისა, რომ სკვერები გაკეთდეს ავლაბარში და მთაწმინდის მოედანზედაო.

ქალაქის თავი. ავლაბარი თითქმის სრულებით მოკლებულია მწვანესა და მცენარეს. ბაღები ძალიან დაშორებით აქვს. ამისთანავე მდგომარეობაშია მთაწმინდაც. ავლაბარში ქალაქსა აქვს თავისუფალი მოედანი სამებისა სივრცით 5,000 ოთხ-კუთხ საჟენამდე, მთაწმინდაში — დავითის მოედანი 800 საჟენამდე. აუცილებლად საჭიროა ამ მოედნებზე სკვერის გამართვა, რომ ზაფხულობით კაცს შეეძლოს ჩრდილში თავის შეფარება. ამ საქმეს, ჩვენის ანგარიშით, მოუნდება სამასი თუმანი.

მიქელაძე. მთაწმინდის მოედანზედ შეუძლებელია სკვერის გამართვა. ადგილი დაქანებულია და ეტლების სიარული მოსახერხებელია მარტო მოედნის გარდი-გარდმო. მოედანი რომ შემოვღობოთ, მაშინ ეტლებმა გარშემო უნდა უაროს, და ქუჩების აღმართ-დაღმართი ამის ნებას არ მისცემს ეტლსა. ცეცხლის გაჩენის დროს ხომ თითქმის სრულებით ველარ მიტრიალ-მოტრიალდება მქრობელი რაზმი. სკვერი დიდად შეავიწროებს ხალხის მისვლა-მოსვლას.

ყორღანოვი. მთაწმინდის მაგიერ ისევ გვირჩევნია კუკიაში გავმართოთ სკვერი. მთაწმინდა უიმისოდაც მაღლობ ადგილას არის გადაჭიმული, ნიავი უბერავს და აგრილებს, ასუფთავებს ჰავას; სრულებით სხვა მდგომარეობაშია კუკია ავჭალისა და ნიკოლოოზის ქუჩათა შორის. დაცემულია ადგილი, ჰაერი შეხუთულია და მცენარე არსად მოიპოვება ახლო-მახლო. იქ არის, მაგალითად, დიდი მინდორი მირზოევისა, სადაც საშინელი უწმინდურობა და სიბინძურე სწამლავს უიმისოდაც მოშხამულს ჰაერს კუკიისას. შევისყიდოთ ის ადგილი და გავმართოთ დიდი სკვერი.

იზმაილოვი. სულ რაღაც სამასი თუმანი გვაქვს ამ საქმისათვის განზრახული. ამ მცირე ფულით ჯერ მირზოევის მამულის სყიდვასაც ვერ შევსწვდებით — ათას თუმნობით მოგვთხოვენ — და ბაღი როგორ-ღა უნდა გავაკეთოთ. როგორც ავლაბარში, ისე მთაწმინდაზე საკუთარი ადგილები გვაქვს. ამბობენ, მთაწმინდაში სკვერი დაუშლის მისვლა-მოსვლას, შეავიწროებს ეტლების სიარულსაო. ეგ გაკეთებაზე ჰკიდია. შეიძლება გარდი-გარდმო და ალმაცრივ გასავლელი გზები ისევე დარჩეს, როგორც დღეს არის, და, მაშასადამე, არაფერს არას დაუშლის.

ივანენკო. ქალაქს კუკიაში ორი თავისუფალი მოედანი აქვს. ერთი გერმანელთა სასაფლაოსთან, ერთიც დედათა საეპარქიო სასწავლებლის გვერდზე. ეს ორი ნაწილი კუკიისა ძრიელ დაშორებულია ბაღებზე და ძალიან კარგს იზამდა ქალაქი სკვერები რომ გაეკეთებინა ამ ადგილებზე.

ყორღანოვი. ქალაქს საზოგადოდ ძალიან უჭირს მცენარეულობა. სკვერების მაგიერ უკეთესი იქნებოდა ქუჩებში დიდრონი ხეები ჩაგვეყარა, მით უმეტეს, რომ ეხლა წყალი გვაქვს.

ფრიდონოვი. სკვერი უეჭველად საჭიროა. ქალაქში ერთად-ერთი ბაღი გვაქვს ალექსანდრესი, სადაც ბავშვები დაიარებიან. მოშორებულ ადგილებიდამ აქაც ვერ მოხვდება მოზარდი თაობა. უეჭველად უნდა გავმართოთ სკვერები ყმაწვილებისათვის.

შემდეგ კამათობისა საბჭომ აირჩია სამი ექიმი კომისიის შესადგენად. კომისიამ უნდა აირჩიოს ადგილები სკვერისათვის.

მეორე საგანი იყო წინადადება ხმოსან ვეისენგოფისა მადათოვის კუნძულის თაობაზე. ბ-ნმა ვეისენგოფმა დაწვრილებით მოიყვანა ისტორია ამ კუნძულისა ვარანცოვის დროიდამ. აზრი წინადადებისა ის იყო, რომ შესაძლოა ქალაქს ამ კუნძულის ზოგიერთ ადგილებზე ჰქონდეს უფლება საკუთრებისა და ამიტომ საჭიროა დავენიშნოთ კომისია კანონის მცოდნე კაცებისა, რომელთაც უნდა შეგვატყობინონ, დარღვეულია თუ არა ჩვენი უფლება და შეგვიძლიან იმისი აღდგენა თუ არაო.

საბჭომ ამოირჩია ექვსი კაცი ამ საქმის გამოსაძიებლად.

დიდი ბაასი გამოიწვია საქალაქო მამულების გაყიდვის საქმემ. კუკიაში ბევრმა დაიჭირა საქალაქო მამული და აიშენა ზედ სახლი და კიდევ ბევრნიცა თხოულობენ მამულების შესყიდვასა.

ქობორიანცი. რა გვექარება მამულების გაყიდვა. დავიცადოთ პატარა და უფრო ძვირად გავყიდით შემდეგში, მეტადრე რკინის გზის სადგურთან, სადაც ფასები თანდათან ემატება ადგილებსა.

---

მატისათვის, რომელიც იჯდა დიასახლისის მარჯვნივ. პატარ-პატარა ნიშნები, რომელიც ჯილდოდა ჰქონდათ ბოძებული, მრავლად გაეკეთებინათ ბრელოკებივით გულზედა. თითო-ოროლას ფრაკის საყელოს ქვემოდ ბრილიანტის ვარსკვლავი უბრწყინავდა. მძიმე ჯვარი კომანდორისა წითელის ლენტით ჰქონდა ყელზედ ჩამოკიდებული ერთს გენერალსა. რაიცა შეეხება ქალებსა, იმათი გაცრცენილი მკლავები და მხრები სულ ბჭყვრიალებდა ძვირფასის ქვებისა და პატიოსან თვალთა სიმრავლისაგან.

სულ რჩეული და საგანგებო დიდკაცობა იყო! მაღალი და ფართო ოთახი სასიამოვნოდ დაეთბოთ; იმისი ჰაერი კეთილის-ცხოვრებით იყო დამტკბარი და კედლები ძველებურის სურათებით დაშვენებული. ამ სურათებზე დახატული იყო სხვა-დასხვა ხილი და ნანადირევი. მოსამსახურენი თავს ადგნენ სტუმრებს და ისე დასრიალებდნენ ძირს გაშლილს ხალიჩაზედ, რომ არავითარი ხმაურობა არ ისმოდა იმათის შესვლა-გასვლისაგან. მერიქიფე ისე ჩასჩურჩულებდა სტუმრებს ყურში, რა ღვინოებიც იდგა სუფრაზედ, თითქო დიდს საიდუმლოს უმჟღავნებსო. შემოიტანეს პირველი თავი საჭმელი, ისეთი მარგებელი, გემრიელი წვნიანი, თითქო განგებ იმიტომ არის მომზადებული, რომ ღონე და შეძლება მისცეს სტომაქსა და მადაზე მოიყვანოსო. რაკი პირველი თავი მოვიდა, მუსაიფიც გაიმართა სტუმართა შორის. რასაკვირველია, პირველ ხანად თითოოროლა სიტყვას ამბობდნენ ერთმანერთში და ისიც დაბალის ხმით, მაგრამ სამაგიეროდ რა თავაზიანი და მორიდებული მიხვრა-მოხვრა ემჩნეოდათ, რა გულ-კეთილობით უღიმოდათ სახე და უბრწყინავდათ თვალები. მიირთვეს თუ არა თითო ჭიქა შატო-იკემი, სტუმრები დიდად გამხიარულდნენ; მამაკაცთა შორის უფრო მეტნი ხანში შესულნი იყვნენ და გამოჩენილნი ან გვარიშვილობითა, ან ნიჭით, ისეთნი, რომელთაც ბევრი რამ გადაჰხედოდათ თავიანთ სიცოცხლეში და, მაშასადამე, დიდად სასიამოვნო და საინტერესო საუბარი შეეძლოთ. გვერდით ლამაზნი ქალნი უსხდნენ და მშვენიერება ქალებისა ხალისს უძლიერებდა კაცებსა, უფრო მეტი ნიჭი და ჭკუა გამოეჩინათ და ამის გამო მოსწრებულს სიტყვა-პასუხსა, პირ-წყლიანს საუბარს, ენა-მახვილობას ბოლო აღარ ჰქონდა. სახელ-განთქმული შავგვრემანი მოგზაური, რომელიც ის-ის იყო დაბრუნებულიყო შორეულის ქვეყნებიდამ, მოუთხრობდა თავის გვერდზე მსხდომთა, როგორ ენადირობდით სპილოებზეო; მოუთხრობდა კვეხნითა და ტრაბახით-კი არა, არამედ ისე დინჯად და დარბაისლად, თითქო კურდღლის ბაჭიებზე ნადირობის ამბავს უამბობს თავის მსმენელთაო. ცოტა შორი-ახლოს სახე-ფირფიტა კაცი იჯდა, ძალზედ ქაღარა შერთული. ეს კაცი შესანიშნავი სწავლული იყო და დღეს მხიარულად ესაუბრებოდა დიასახლისს, ტან-წვრილსა და თეთრყირმიზ ქალსა, რომელსაც სიამოვნებით უცინოდა კურდღელივით გაკვირვებული და გაოცებული თვალები. ამ ყმაწვილსა და კეკლუცს არსებას მშვენიერსა და საგანგებო კისერზე ძეწკვი შემოეხვია ძვირფასის ზურმუხტისა და ისეთი სავსე, გადმოქანებული გულმკერდი ჰქონდა, თითქო ვენერაა მედიჩისაო.

ეტყობოდა, რომ საგანგებო სადილი სასიამოვნოდ დარჩებოდა ყველა დაპატიჟებულსა და მოწყენილობა, — ეს მუდმივი სტუმარი საგანგებო წვეულობისა, — დღევანდელს სადილს არ ჩააშხამებდა სტუმრებსა. ერთის სიტყვით, მოწვეულთ იმედი მიეცათ, რომ დღევანდელს დღეს მეტად ვისიამოვნებთ, კარგად შევექცევით და სულითა და გულით მოვილხენთო.

ის-კი არა თუ შორს, სუფრის ბოლოში, ერთს უჩინარს ალაგს იჯდა ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი, რომელიც ყველაზე ნაკლებ იყო გამოჩენილი მოწვეულთა შორის. ეს ყმაწვილი კაცი დიდი «ოცნების მოყვარე» კაცი იყო, გულით უყვარდა ფილოსოფოსობაცა და თან პოეტობის ნიჭიც მიემადლებინა იმისთვის ზეცასა. ასეთს დიდ-კაცობაში ყმაწვილი პოეტი მიღებული იყო თავის შესანიშნავის ნაწერების გამო. გული მეტად კეთილშობილური ჰქონდა პოეტსა, ბუნებით არისტოკრატი იყო და ცრუ პატივმოყვარეობას ოდნავაც არ მისდევდა. ერისა და ხალხის ღვიძლი შვილი იყო და არ აეიწყდებოდა, რომ იმის კალთაში აღვზრდილვარ და იმისი ძუძუ მიწოვიაო. ეხლაც პოეტი თავისთვის იჯდა წყნარად, ჩუმად და სტკბებოდა იმ ყვავილის ყნოსვითა, რომელსაც განათლებასა და რჩეულს დიდ-კაცობას უწოდებენ. არავისზედ ნაკლებ არა ჰხედავდა, რომ აქ, ამ დიდ-კაცობაში ყოველივე საგანგებოა, შესანიშნავი და იშვიათიო: ეს სიკეკლუცე ქალებისა და ნაწურთნი ჭკუა-გონება დიდად ნასწავლის კაცებისაო, ეს მშვენიერი სამკაული სუფრისა, ეს მორთულობა სახლისა და ეს ძვირფასი და თავი თეთრი ღვინოც, რომელიც ასეთის სიამოვნებით მოვსვი ეხლაო. თავ-მდაბალს სტუმარს დიდად ართობდა და ატკბობდა ასეთის უხვებით და საკვირველის ჰარმონიით ერთად შეწყობილი იშვიათი ნიჭი და მადლი ამა სოფლისა. პოეტმა იგრძნო, რომ ეხლა ჩემს თვალში ყოველივე ხარობს და სია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზმაილოვი. ჩვენ თუ არ გავყიდით, ხალხი თვითონ დაეპატრონება მამულებსა, ააშენებს სახლებს და ეს უფრო ცუდი იქნება ჩვენთვის. რატომ არ უნდა გავყიდოთ, როდესაც ხალხს უჭირს მიწები, ღარიბებს უნდათ საკუთარი სახლები აიშენონ. ჩემის აზრით, აქ ქალაქი კიდეც უნდა დაეხმაროს ღარიბს კაცსა, რომ, თუ კი მოახერხებს, საკუთარი სახლი გაიკეთოს. ეს ჩვენი პირდაპირი ვალია. იძახით, რომ შემდეგ უფრო ფასები აიწევსო. ეგ შესაძლოა, მაგრამ ჩვენ მაინც რასა ვკარგავთ, სულაც რომ იაფად გავყიდოთ. შემოსავალი ჩვენ მაინც არ დაგვაკლდება, იმიტომ-რომ სახლებზე დასაფასებელი უნდა გვაძლიოს პატრონმა. გარდა-ამისა პირდაპირი მოგებაა ჩვენთვის, რომ შენობებმა იმატოს ტფილისში, ცარიელი და გამოუსადეგი ადგილები გაშენდეს, ქალაქი გაიზარდოს. თუ მერე ჩვენ თვითონ დაგვჭირდა ეს ადგილები, როცა გვინდა, ისევ უკანვე დავიბრუნებთ.

მ. ი. თამამშოვი. ყველა დიდრონ ქალაქებსა აქვთ მივარდნილი და მიგდებული მამულები, მაგრამ მაინც არა ჰყიდიან — იქნება როდისმე ჩვენ თვითონ დაგვჭირდესო. ჩვენ-კი ვეშურებით და თითქმის მუქთად ვარიგებთ მიწებსა, როდესაც ასე ნაკლებადა გვაქვს მიწები.

ივანენკო. ქალაქის მამულებს ნუ გავიღებთ, დარჩეს ჩვენთვის, ნურავის ნუ მივყიდით. გამგეობამ უნდა ყური უგდოს, რომ არავინ დაეპატრონოს.

ქალაქის თავი. ყურის გდება ძალიან ძნელია. რას იზამთ, როდესაც ღამღამე გადიან და იჭერენ ადგილებსა სად ადევნებთ თვალ-ყურსა. მთელი პოლიცია ერთ დროს ფეხზე დავაყენეთ, ასამდე კაცი ჩავუსაფრეთ, რომ თვალი სჭეროდათ და არ დაენებებინათ მიწები, მაგრამ ვერას გავხდით. იმ ღონით, რომელიც ჩვენ ხელშია, არ შეიძლება ხელი შევუშალოთ და არ მივუშვათ მამულებზე.

მიქელაძე. ომიანობა ყოფილა, რაღა! ძალით ხომ არ შეუძლიანთ წაგვართონ მიწა. მაშ საკუთრების კანონები უქმი სიტყვაა. ეგ რა სათქმელია, ვინც ნება დაურთველად დაიჭეროს ადგილსა და დასდგავს შენობას, ის კანონით უნდა გაამევოთ და დაუქციოთ შენობა. მაშინ ვეღარ გაჰბედავენ ადგილების დაჭერას ძალით.

თამამშოვი. ბიუროს აგენტები მუდამ თავ-თავიანთ განყოფილებაში არიან და იმათ დაავალეთ თვალ-ყური დაიჭირონ, რომ ქალაქის მამულს არავინ დაეპატრონოს.

საბჭომ უარ-ჰყო მამულების გაყიდვა.

შემდეგ ქალაქის თავმა წინადადება მისცა საბჭოს, რომ სამასი მანათი გარდაეცეს სახლობას ამ დღეებში გარდაცვლილის ნერსეს ტერ-სარქისოვისას, რომელიც უფროსი აგენტი იყო გამგეობის ბიუროში და რომელსაც ცოლ-შვილი სიღარიბეში დარჩა. საბჭომ ერთხმად შეიწყნარა წინადადება ქალაქის თავისა.

საბჭომ დაამტკიცა აგრეთვე მოხსენებანი სამოსწავლო კომიტეტისა შესახებ საკვირაო სკოლისა დიდრონებისთვის და საღამოს კურსებისა დედათა სახელოსნო სასწავლებელში.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

თელავი. მკითხველმა უკვე იცის, რომ თელავში სამი საზოგადო დაწესებულებაა: «ბანკი», «დეპო» და «წიგნთ-საკითხავი», ეს სამივე დაწესებულება კარგა ხანია, რაც თელავში მოქმედობს. ჩვეულებისამებრ პირველ ხანებში ამ საქმეთა დაწყებამ სიცოცხლის ნიშანი დაასჩნია თვით თელავს.

ამ გარემოებას მწერლობამაც ყურადღება ათხოვა და ყველა ქება-დიდებას უთვლიდა თელავის ახალგაზდობას. გავიდა დრო და ყოველივე მიყუჩდა. თელავმა ისევ ძველებურად ძილს მისცა თავი, დაწყებული საქმეებიც თითქმის სრულიად დაივიწყა თელავის საზოგადოებამ და, რასაკვირველია, იმ დაწესებულებათა ბედი უგულოდ დატრიალდა. ამ გვარად განვლო თითქმის ორმა წელიწადმა, მაგრამ სულით და გულით საზოგადოების ზოგიერთნი მოკეთენი არა სცხრებოდნენ და აგონებდნენ თავის მოვალეობას და საჭიროებას. ამ გვარმა კვალში დევნამ როგორც იყო გასჭრა და ამ 1888 წ. დაწყებისთანავე მთლად გადახალისებულმა თელავის ახალგაზდობამ კვლავ მოჰკიდა საქმეს ხელი. პირველად შეუდგა «წიგნთ-საკითხავის» საქმეების გამორკვევას. ჯეროვნად გამოიძია წარსულის სიავ-კარგე და ასე გამორკვეული ჩააბარა ახალ მმართველთ. ახალ მმართველთაც არ უმტყუნეს საზოგადოებას და ჯეროვანის გულ მოდგინებით შეუდგნენ ნატვირთ საქმეს. მთლად «წიგნთ-საკითხავის» წიგნები გადაათვალიერეს, შეადგინეს ახალი კატალოგი, გამოიწერეს ახალი ქართულ-რუსული წიგნები და შინაარსის დაგვარად დაჰყვეს ნაწილ-ნაწილად, ასე რომ დღეს «წიგნთ-საკითხავის» საქმე ყოვლად წესიერად მიმდინარეობს; მხოლოდ ახალ გამგეთ ერთი მეტად არა-სასიამოვნო საქმე დაატყდათ თავზე. წინა წლების წევრთ, რომლებიც დღეს თელავის მაზრაში აღარ სცხოვრობენ, წაუღიათ წიგნები და დღემდის არ უბრუნებენ საზოგადოებას. პატარ-პატარა წიგნებზე არას ვიტყვით, მაგრამ ისეთი წიგნის დაკარგვა, როგორიც არის „ვახტანგ მე-VI კანონ-დებულება“*), სწორედ დიდს დანაკლისს შეადგენს «წიგნთ-საკითხავისათვის». როგორც შევიტყეთ, არა ერთისა და ორის წერილით მიუმართავთ მმართველთ წიგნების წამღებ წევრთათვის, მაგრამ პასუხიც არ მიუღიათ.

საზოგადოებამ, რაკი გაასწორა «წიგნთ-საკითხავის» საქმე, შეუდგა ბანკისას. აქაც ბევრი რამ აღმოჩნდა საგულისხმო და დაუყოვნებლივ გასასწორებელი საქმეები, როგორც წინა წერილშიაც გაუწყე მკითხველებს. ახალნი მმართველნიც სწორედ ამ საქმეების გასწორებას შეუდგნენ. მაგალითად, ხელი ჩასჭიდეს იმათ, ვისაც ბანკიდგან ფული გატანით-კი გაუტანიათ, მაგრამ შემოტანით-კი არ შემოუტანიათ. რაკი გამგეთა ცხარე მოქმედებამ შესაფერად შეაფუცხუნა ის უპირულნი წევრნი, ნება-უნებურად დაიჩაჩნენ და თავისივე ნებით იწყეს ვალის გადახდა. ამ რიგად დაიწყო «ბანკმაც» ცხოველი მოქმედება. მართალია, ზოგიერთ უპირულ წევრთ გააჯანჯლეს საქმე, მაგრამ გამგეობა მაინც არ შედრკა და კანონიერს ძალას მიჰმართა, რომლის შემწეობითაც ახდევინებს ბანკის ვალს.

*) ეს წიგნი, ეს ორი წელიწადია, ერთს ვისმე გაუტანია „წიგნთ-საკითხავიდგან“ და დღესაც არ დაუბრუნებია.

ამ ბოლოს დროს ხომ «დეპოს» საქმეც გამოირკვა. დეპოს ახალმა მმართველებმაც არ გაიმტყუნეს, ჯეროვნად მოჰკიდეს ხელი საქმეს. პირველად ყურადღება ათხოვეს იმას, რასაც სჩიოდა საზოგადოება: დეპოში როგორც უნდათ, ისე ჰყიდიან საქონელს და არა საზოგადოებისაგან დაწესებულ ნიხრზედ. გამგეთ ამის გამო საჭიროდ სცნეს საყოველთაო საცნობლად გამოეკიდნათ საზოგადოებისაგან დამტკიცებული და შემოწმებული ნიხრი ყველა საქონლისა, რაც-კი იყიდება დეპოში. ამასთან გამგეობამ საზოგადო წევრთა თანხმობით მოუმატა «დეპოში» ერთი მოსამსახურე კაცი, რომელსაც დაავალეს «დეპოს» დღიურ შემოსავალ-გასავლის და სხვა დავთრების წარმოება და კაჭრობაზე მეთვალ-ყურეობა. ასე და ამ რიგად დღეს თელავმა ისევ მოიბრუნა სული.

ი. კახელი

## უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. ავსტრი-ვენგრია ჩუმ-ჩუმად ემზადება საომრად. სხვამ რაც უნდა ჰქმნას, მე-კი ჩემს საქმეს უკან არ დავაყენებო, ფიქრობს გულში ავსტრიის მთავრობა. ამ დღეებში უნდა განიხილონ ავსტრიაში ახალი პროექტი, რომლის ძალითაც მოსთხოვენ დელეგაციებს 52 მილიონს ფულს. ამ პროექტისავე ძალით სამხედრო მინისტრს ნება ეძლევა, რომ მობილიზაციის გამოუცხადებლივ მოუწოდოს ზოგიერთს ზურგისა და სათადარიგო ჯარს, ასე 100,000 კაცამდე, შეაჭურვოს-იარაღის და საომარ ფეხზე დააყენოს. ეს ამბავი ძალიან საყურადღებო ამბავიაო, ამბობენ რუსეთის გაზეთები, და ურიგო არ იქნება, კარგად ჩაუფიქრდნენ ამ ამბავს ისინი, ვისაც უფრო შეეხებაო.

გერმანია. გერმანიის ამბები მოდის გერმანიიდამ. იმპერატორი ფრიდრიხი თან-და-თან უფრო შეიპყრო საშინელმა და ულმობელმა სენმა, რომლის წინააღმდეგ ღამის მეცნიერებასაც ვერა გაუწყვია. ყელის ტკივილს ზედ დაერთო ციება და ფილტვების ანთებაცა. იმპერატორი იძულებულია იჯდეს გამუდმებით და დაწოლა არ შეუძლიან. სამეფო წევრნი შეკრებილნი არიან შარლოტენბურგში და მწუხარებით შესცქერიან ასე დატანჯულს იმპერატორსა. ბერლინი შეშინებულია და ზარ-დაცემული. აუარებელი ხალხი მიისწრაფის შარლოტენბურგს; იმპერატორის ავადმყოფობამ ქვეყანას დაავიწყა ყოველივე მაკენზისაც-კი იმედი დაჰკარგვია ფრიდრიხის მორჩენისა; პროფესორს ბერგმანს ხომ სან-რემოშივე უწინასწარ-მეტყველნია, რომ აპრილის ნახევარს კვლავ გაუმწვავდება ავადმყოფობა იმპერატორისაო. ამ ავადმყოფის იმპერატორის წინაშე შესწყდა ყოველივე ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა საკანცლერო კრიზისის გამოცა და იმპერატორის ქალის გათხოვების თაობაზედაც. ყველა დადუმებულია და მხოლოდ იმას უგდებს ყურს, რა იქნება ხვალ ავადმყოფის იმპერატორის თავსაო.

საფრანგეთი. საფრანგეთში ახლა ყველგან ბულანჟეს სახელი-ღა გაისმის. გაზეთებიცა და საზოგადოებაც მხოლოდ ბულანჟეს-ღა ახსენებენ. გაზეთი «Siécle» ამბობს, რომ ბულანჟე დამნაშავეა და მოღალატე რესპუბლიკისა და ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა დაპატიმრებულ იქმნესო.

— ლუიზა მიშელი ამბობს ბულანჟეზე: ბულანჟე ჩვენთვის, სოციალისტებისათვის, არარაობაა მხოლოდ, მაგრამ იმისგან ატეხილს დავიდარაბას-კი კარგად გამოვიყენებთ და დავამხობთ იმ წესწყობილებას, რომელიც დამღუპველია ქვეყნისაო.

## წვრილი ამბები

აი ერთი ამბავი იმპერატორ ფრიდრიხის ცხოვრებიდგან. მესამოცე წლებში სასახლეს ბაღში დიდ-ძალი მშვენიერი ყვავილი და ვარდები ჰყვაოდა თურმე, ხოლო ვერავინ მოჰგლეჯდა, ვერავინ მიეკარებოდა, რადგან ყველგან ხეებზე ზედ-წარწერით ქაღალდები იყო მიკრული, რომ აღკრძალულია ყვავილების წყვეტა და კვალებში სიარულიო. ამას გარდა ბაღის აქეთ-იქით მხარეს იდგნენ თურმე ჯარის-კაცნი და მოსიარულეთ თვალ-ყურს ადევნებდნენ. ერთხელ დარაჯად იდგა პოზნანელი მსროლელთა რაზმის ჯარის-კაცი, რომელმაც გერმანული ენა კარგად არ იცოდა და ძნელადაც ესმოდა. ამ დროს ორი ყმაწვილი ქალი გამოჩნდა და დაიწყო თურმე ბაღში სირბილი, ცელქობა. ჯარისკაცი წინ წარსდგა და გამოუცხადა, რომ

---

მოვენებსო, მე ოპტიმისტი ვარო. ანკი რატომ არ უნდა გავიხარო და ვისიამოვნო, თუ-კი დავრწმუნდები, რომ ამ ჩვენს სამწუხარო, მუხთალს წუთისოფელში ათასში ერთხელ მაინც შეიძლება ჰნახოს კაცმა თითქმის სრულიად ბედნიერნი. მეტადრე უკეთუ ეს კმაყოფილნი და ბედნიერნი არ ივიწყებენ გაჭირებაში მყოფს თავის უბედურს მოყვასსაცა, მაშინ ვის რას დაუშლიან განა, ვის რა ბოროტებას შეამთხვევენ? ოჰ, დიდად სანუგეშოა ის ტყუილი, თვალების ამხვევი აზრი, რომ ვითომ წუთი-სოფელი უფარავს ამ ხალხსა, რომ ვითომ მათი სახე მუდამ, ანუ თითქმის მუდამ უზრუნველია და მათი ბაგენი მუდამ მზა ღიმილისათვის, რომ ვითომ ამათ მაინც მოუშორებიათ თავიდამ ულმობელი, სამარცხვინო სიღარიბე და საზიზღარი სნეულობა და ავადმყოფობანი.

ის, ვისაც ჩვენ ოცნების მოყვარეს ვუწოდებთ, ღრმად გაერთო თავის ფიქრებში, როცა მორთულმა და მოკაზმულმა უფროსმა მსახურმა დიდის ამბით შემოიტანა ვერცხლის სინით უზარმაზარი თევზი, ერთი ისეთი საკვირველება ზღვისა, რომელსაც კაცი ძველებურს სურათებზე თუ ჰნახავს, ან და სანოვაგეთა დიდს მაღაზიაში თუ შეასწრობს თვალს, იქ, სადაც ყოველ გვარი საზრდო გამოფენილია ფანჯარაში და პატარა ქუჩის ბიჭები გაფაციცებით და ნერწყვის ყლაპვით შესცქერიან. გემრიელი საჭმელი ჩამოატარეს სუფრაზე. როცა «ოცნების მოყვარემ» აიღო თავისთვის ერთი ნაჭერი უზარმაზარის თევზისა, იმის გარშემო დატრიალდა ნელი სუნი ზღვისა და განუცხოველა გონებაში დავიწყებული სურათები წარსულისა. ოცნების მოყვარეს მოაგონდა ზღვის ნაპირები ბრეტონისა, საცოდავი სოფელი მეთევზეებისა, სადაც შარშან ზაფხულს შემოდგომამდე დარჩა და არა ერთხელ საშინელი ქარტეხილი და გრიგალი იხილა. ცხოვლად წარმოუდგა თვალ-წინ ის საშინელი ღამე, როცა ქარი არე-მარესა ჰგლეჯდა და მენავენი ნაპირს ვეღარ მოუდგნენ. მეც შევერიე მაშინ შეშფოთებულ დედაკაცებში, რომელნიც მინდორზედ შეკრებილიყვნენ და გულის ძგერით ელოდნენ, როდის დაბრუნდებიან ჩვენი ქმრები და ძმებიო. ზღვის წინწკლები, საცერში გაცრილ წყალივით, მცემდა პირისახეში და განძვინებული ქარი ღრიალითა და ზუზუნით მაგლეჯდა და მაფხრეწდა ტანისამოსსა. ღმერთო, რა საცოდავი ცხოვრება აქვთ ბრეტონის საწყალობელს მეთევზეებს! რამდენია იმათ სოფლებში უდროვოდ გამწარებული, დაობლებული და ქვრივ-ოხერი, რომელთაც თავის სიცოცხლეში ძაძა და შავები არ მოუშორებიათ ტანიდამ. ყოველ სისხამ დილაზე მიდიან ეს საცოდავები პატარა ყმაწვილებთან ერთად სამუშაოდ, ლუკმა პურის საშოვნელად იმ ქარხნებზე, სადაც სარდინები კეთდება და ჰაერი მუდამ მოწამლულია და მოშხამული ზეითუნის ზეთის ავის სუნითა. «ოცნების მოყვარეს» მოაგონდა საცოდავი სოფლის საყდარი ციცაბო კლდის ნაპირას; იმისი სამრეკლო თეთრად იყო შეღებილი, რომ მენავეებს დაენახათ ხოლმე ზღვიდამ და ასცდენოდნენ ზღვის ქვეშ მრავლად გაფანტულს კლდეებსა. გამხდარი ცხვრები დადიოდნენ სასაფლაოზე და სძოვდნენ ბალახსა; აქ, საფლავის ქვებზე, სადაც არა მგონია, ასეთი საშინელი ზედ-წარწერა იყო: «ზღვაზე დაიღუპა... ზღვაზე დაიღუპა... ზღვაზე დაიღუპაო»...

უზარმაზარი თევზი ძალიან გემრიელი საჭმელი იყო. წვენი ხომ ისეთი ჰქონდა შემდგარი, რომ ეტყობოდა გრაფის მზარეულს თავისი ხელობა ინგლისურს სასტუმროში უნდა ესწავლნა და იქ უნდა შეეთვისებინა ეს მეცნიერება. ეხლანდელმა ჩვენმა განათლებამ იქამდე მიაღწია, რომ მზარეულებს კინაღამ მეცნიერთა ხარისხი ეძლევათ ჯილდოდ: ერთი სთქვათ, დიდი ხელოვანია შემწვრების მომზადებაში და ამითი აქვს სახელი განთქმული; მეორეს უფრო ეხერხება სხვა-და-სხვა წვნიანის მომზადება და წვენის შეყენება შემწვრისათვისა. ყველა სტუმარნი გაჩქარებით მიირთმევდნენ საჭმელს, თუმცა სინაზით და სინარნარით ანძრევდნენ ხელსა და ყბებს შექცევის დროსა. მაგრამ არც ერთმა-კი არ აქო და არ მოიწონა საჭმელი, რათა უზრდელობაში არ ჩამოერთმიათ და კიდევ იმიტომაც-რომ ყველანი საზოგადოდ კარგს საჭმელებს იყვნენ მიჩვეულნი... «ოცნების მოყვარეს»-კი სულ დაეკარგა მადა. ის ისევ თავის ნაცნობ ბრეტონელ მეთევზეების ფიქრში იყო და გულში ამბობდა: ვინ იცის, იქნება იმათაც დაიჭირეს ეს უზარ-მაზარი თევზიო. ყმაწვილს კაცს მოაგონდა ერთი ღრუბლიანი და წვიმიანი დილა, როცა ის-ის იყო ჩადგა იმ ღამის საშინელი ქარი. «ოცნების მოყვარე» დაეხეტებოდა ამ დროს ზღვის ნაპირას, შესცქეროდა ტყვიის ფერ ზღვის ზვირთებს და უცებ დაინახა ქვიშიანს რიყეზე უძრავი გვამი მოხუცის მეთევზესი, რომელიც ოჯახის მარჩენელი იყო და სამის დღის წინად დაღუპულიყო ზღვაზე. დამრჩვალის გვამს ზღვის ჭილი და ლელი შემოჰხვეოდა; ჭაღარა წვერი და თმა გავსებოდა ზღვის ქვიშითა და შიგ მრავლად ჩაჰკვდომოდა წვრილი სადაფი და ნიჟარა.

ამ მოგონებაზე გულმა უცნაურად დაუწყო კვნესა „ოცნების მოყვარეს“.

გრ. ყ—ძე

(დასასრული იქნება)

მწვანილოვანზე სიარული აღკრძალულია. ყმაწვილმა ქალმა გადაიხარხარა თურმე და ვარდი მოსწყვიტა. ამაზედ ჯარის-კაცმა სასტიკად მოსთხოვა, რომ უფროსთან უნდა წამომყვეო. ქალმა სთქვა თურმე, რომ მე პრინცესა შარლოტა ვარო, მაგრამ ჯარის-კაცმა ყური არ ათხოვა და მიჰყვანდა უფროსთან. დაინახა ეს ამბავი მორიგე ოფიცერმა, შეშინებული მიეგება წინ და იწყო ბოდიში პრინცესას წინაშე, ჯარის-კაცი-კი სასტიკად გაჰკიცხა. ამ საქმემ მიაღწია მემკვიდრე პრინცის, აწ იმპერატორ ფრიდრიხის ყურამდეც. მეორე დღეს პოზნანის მსროლელთა რაზმის ჯარის-კაცი დაიბარეს მემკვიდრესთან. გამოწყობილი და გამოკანკლული წარსდგა იმათ უდიდებულესობის წინაშე ჯარის-კაცი. მემკვიდრე პრინცმა ჰკითხა: რა ამბავი დაგემართა გუშინ?—თქვენო უდიდებულესობავ, მოახსენა ჯარის-კაცმა, პრინცესა შარლოტა დავაპატიმრე იმიტომ, რომ ვარდებსა სწყვეტდა და ამასთან პრუსიის ჯარის-კაცსაც დასცინოდა. ყველამ ამისთანა არა-საკადრის პასუხზედ შიშით შეჰხედა თურმე მემკვიდრე პრინცსა. «ბრძანების წინააღმდეგ, უპასუხა პრინცმა, არავინ არ უნდა მოიქცეს; მე და მემკვიდრე პრინცესაც რომ მოვსულიყავით, აგრეთვე უნდა მოქცეულიყავ. ვარდები და ყვავილები ბაღში არავინ არ უნდა სწყვიტოს და ის, ვინც არ აასრულებს ამ ბრძანებას, თუ დაისაჯა, თავისივე ბრალი იქმნება. შეინარჩუნე შენი გამბედაობა ,ის გამბედაობა, რომელიც გუშინ გამოიჩინე, და თან გაიძღოლე მაშინაც, როცა სამშობლოს მტერთან საბრძოლველად მოგიწოდებენ. სახსოვრად შენთვის აი ეს სამი თუმანი მიჩუქბიაო».

— ერთს გერმანიის გაზეთში შემდეგი ამბავი სწერია: ყველას აოცებს, ვინც-კი ჰხედავს, თუ რა სასტიკად იზრდებიან გერმანიის ახლანდელის მემკვიდრის პრინცის შვილები, გოგენცოლერნების გვარეულობისანი. პრინცს ვილჰელმს, რომელიც სულ ექვსის წლისაა და მემკვიდრის შვილებში უფროსია, ნება აქვს ბრძანება გასცეს ხოლმე თავის პაწია ძმებსა. მაგალითებრ, დაინახავს თუ არა ექვსის წლის ვილჰელმი, რომ მამა მოდისო, თუ ან თითონ ყმაწვილები მიდიან მამასთან, დაიყვირებს: «რიგზე გამწკრივდითო!» ამ ხმაზე ყველანი გამწკრივდებიან ჯარის-კაცებისავით და ასე ეჩვენებიან მამასა.

— იტალიის გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ ბრაზილიის იმპერატორს დონ-პედროს განზრახვა აქვს უარ-ჰყოს სამეფო ტახტი თავის ქალის სასარგებლოდ და თითონ-კი ფლორენციაში გარდასახლდესო.

— ნეაპოლიტანის ოლქში, ლირებალდსა, შემდეგი ამბავი მომხდარა და დიდად აუღელვებია მრევლი. დიდის ქარიშხალისა და ელვა-ქუხილის დროს ადგილობრივს მოძღვარს ქადაგება წაუკითხავს, გაულაშქრნია კათოლიკეთა ეკლესიის მტრების წინააღმდეგ და სხვათა შორის უთქვამს: «დეე, მეხმა ზეცისამ ჩაიტანოს ჩვენში ურწმუნოვო!» ამ სიტყვების თქმაზე იგრიალა თურმე ცამ, დაიჭექა, დაიქუხა, ჩამოვარდა მეხი და მოძღვარი იქვე გააქრო.

# დეპეშა

11 აპრილი

**პეტერბურგი.** არაყის გამოხდისათვის გადასახადის ნაწილ-ნაწილად შეტანის შესახებ ბეითა და თავდებობით, მთავრობას განზრახვა აქვს დაადგინოს, რომ არ იქმნას ხოლმე შეწყნარებული თავდებობა ქალაქებისა და სასოფლო საზოგადოებათა; აგრეთვე ბეთ არ მიიღება ისეთი მამული, რომელიც განგებ მეტად არის დაფასებული და არც არაყის ქარხნის ჭურჭელიო.

**ინსბრუკი.** აქ მოვიდა ინგლისის დედოფალი. რკინის გზაზე მიეგება იმპერატორი ავსტრიისა. დედოფალს თან ახლავს თავისი ასული ბეატრისა მეუღლითურთ და თავადი ლიჰტენშტეინი.

**სოფია.** პრინცი კობურგისა საალდგომოდ მიემგზავრება ტირნოვოში; თან ახლდებიან სტამბულოვი და ნაჩევიჩი.

**ვენა.** მიღებულია ამბავი, რომ კიუსტენდილის მთაზე , კოსინის მთის ვიწროებში, გამოჩენილა ბოლგარიის ჯარები.

12 აპრილი

**პეტერბურგი.** გაზეთი «С.-Петер. Вѣд.»-ი იუწყება, რომ ახალი პროექტი აქციზის შესახებ თუმცა შეტანილია სახელმწიფო საბჭოში, მაგრამ ძალაში შევა მხოლოდ ახალის წლის დამდეგს. ახალი პროექტი გავრცელებული იქმნება მთელს რუსეთში, ამიერ-კავკასიისა და მდ. ვისლაზე მდებარე გუბერნიების გამოუკლებლად.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ გადაწყვეტილია 17 სამეურნეო გამოფენა გამართონ, სხვათა შორის, პსკოვსა და კიევში , პალტავასა და სარატოვში, რიაზანსა და ვილნოში.

**პარიჟი.** ფლოკემ გასცა რა პასუხი იმათ, ვინც ჰკიცხავდა მმართებლობას სამოქალაქო კაცის სამხედრო მინისტრად დანიშვნისათვის, სთქვა: ფრეისინეს შეუძლიან კარგად გაუძღვეს სამხედრო უწყებასაცაო, და მოაგონა საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს ფრეისინეს მოღვაწეობა, ვითარცა სამხედრო მინისტრისა. თვითონ ფრეისინემ გამოაცხადა, რომ მე ვიცი ჩემი მოვალეობა და შესრულებასაც მოვახერხებო. პალატამ 377 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 175 ხმისა ნდობა გამოუცხადა სამხედრო მინისტრს.

**პარიჟი.** სამუნიციპალო საბჭოში ცხარე ბაასი იყო: საბჭომ გაჰკიცხა ბულანჟეს დასის მოქმედება და გამოაცხადა, რომ მზადა ვართ პარიჟის მცხოვრებლებს მოთავეობა გავუწიოთ, რათა რესპუბლიკას და თავისუფლებას ყოველივე ხიფათი თავიდგან ავაცილოთო. პოლიციის პრეფექტმა გამოუცხადა საბჭოს, რომ მე ტყუილუბრალოდ მწამებენ, ვითომ ხელს ვაფარებდე ბულანჟის მომხრეებს; მე შევძლებ წესიერების დაცვასაო. საბჭომ წინადადება მისცა პრეფექტს, დაითხოვე პოლიციის სამსახურიდგან ყველა მოხელეები, რომლებიც რესპუბლიკის წინააღმდეგნი არიანო.

**ბერლინი.** იმპერატორის მდგომარეობა იგივეა; მაინც-და-მაინც არავითარი ცვლილება არ ეტყობა.

## პეტერბურგის ბირჟა 8 აპრილ

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გარიგებისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — | ,, | — | ,, | 9 | 73 |
| ტამოჟნის კუპონები . | — | ,, | — | ,, | $193\frac{1}{2}$ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — | ,, | — | ,, | 1 | 41 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — | ,, | — | ,, | $266\frac{3}{4}$ | |
| —მეორისა . . . . . | — | ,, | — | ,, | $242\frac{3}{4}$ | |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 98 | | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | 98 | | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე 14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აპრილი 30 დღით არის

**13 დღე ოთხშაბათი.** წმ. არტემონისა. კათოლ. გერმენეგილდასი. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—5, ჩადის 6—52. მთვარე 15 დღისაა.

**14 დღე ხუთშაბათი.** წ. მარტინისა, ანტონისა და იოანესი. კათოლ. ანასტასიასი. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—3, ჩადის 6—53. მთვარე 16 დღისაა.

**15 დღე პარასკევი.** წამ. ვასილისა და ტროფიმესი. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57, ტფილისში მზე ამოდის 5—2, ჩადის 6—54. მთვარე 17 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . . 3 »
2 › 2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 ›
› » 2 › 3½
› › 3 › 3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში ›
1-ლის ხარისხისა . . 5 ›
მე-2 ხარისხისა . . 4 ›
მე-3 — . . . › ›
ძროხის ხორცი . . . 9 ›
› 2 › 8 ›
სუკი . . . . 16 ›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 12 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. » ›
› 2 › » ›

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით – დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

# განცხადებანი


**ქუთაისში**

**მ. ი. ნიკოლაძის**

მაღაზიაში მიღებულია და ისყიდება დიდ-ძალი აბრეშუმის სა- და ბლონდები, აგრეთვე ნაკერი ჩიქილები აბრეშუმისა და ბამბის ძაფებით და დაბასმულებიცა.

(10—7)

# კაბინეტი

ანუ სამკითხველო გაზეთებისა და ჟურნალებისა. ტფილისის სასახლის ქუჩა, არწრუნისეული ქარვასლა, ლანჩოს მაღაზიის გვერდზედ, № 93.

სამკითხველოში მოდის საზღვარ-გარეთისა, რუსეთის სატახტო ქალაქებისა და აქაური გაზეთები და ჟურნალები.

კაბინეტი ღია არის დილის 9 საათიდამ საღამოს 9 საათამდე.

ფასი შესვლისათვის ერთი შაური.

(3—2)

დავიწყეთ გასყიდვა სრულიად უშიშარის

**შვედურის ასანთისა,**

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

# ქარხანა

**გ. გ. ტერ-ასატუროვისა და კº.**

ვერაზე, ტფილისის ქალაქში.

(50—42)

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | ,, | 20 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | ,, | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . . | ,, | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა , ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა გიორგი წერეთლისა მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . | ,, | 20 |
| ოტელლო შექსპირის ტრაგედია ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . | ,, | 50 |
| ჩატეხილი ხიდი შენიშვნები «ოთარაანთ ქვრივზე» . . | ,, | 15 |


**იმპერატორის ალექსანდრე მეორის სისხლის სამართლის წესდების კანონთა 348 მუხლის ძალით**

გამომძიებელი 4-ხე მომრიგებელ მოსამართლის განყოფილებისა ქ. ტფილისში, სულხანოვი, ამით აცხადებს, რომ 25 მარტს 1888 წელს მეშვიდე ავლაბრის ნაწილში ქ. ტფილისისა, საკავკასიო რკინის გზის ლიანდაგის იქით, ხევში, რომელიც მახათის გორასთან არის, იპოვეს მოკლული კაცი, რომელსაც ძალ-დატანებით მოკვლა ეტყობოდა, ხანჯლით და შუბით. ამ კაცის ვინაობა არ აღმოჩნდა.

ნიშნები მკვდრისა: შუათანა ტანის კაცი; სუსტის აგებულებისა; თმა თავზედ შავი; მოკლედ გაკრეჭილი. კისერზე აქვს ოთხი ნაიარევი, თეთრის ფერისა—ნაშთი ქეცისა. ზურგზედ და ფეხებზედ იარები, როგორც სჩანს, ათაშანგისა. მკვდარს მარტო სამოსლის პერანგის ამხანაგი ეცვა ხონჯრით შეკრული და ფეხის კოჭებთან ღილით შეკრული. ყველას, ვისაც კი შეუძლიან რაიმე ცნობების მიცემა ამ მოკლულზედ, ან მოკვლაზედ, ან ამ საქმეში გარეულ კაცზედ, გამომძიებელი სულხანოვი სთხოვს გამოცხადდნენ მასთან, ანუ წერილით აცნობონ ყოველივე. (3—1)


# კანცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა გადავიდა ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები. ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება გარდა კვირა-უქმეებისა დილის 9 საათიდა საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რაიმე საქმე ექმნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) Общества распространенія грамотности Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110. (50—14)


Доз. цен. Тиф., 11 Апрѣля 1888 г., Типографія А. А. Михельсона. Гол. просп., д. № 12. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე